ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2022/96

ქ. თბილისი **22 ივნისი, 2022 წელი.**

ერთის მხრივ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“** - წარმოდგენილი ეკონომიკური სამსახურის უფროსის თამარ ყუფარაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „ლუმენი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა ვასაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსის გიორგი სულაძის, 2022 წლის 22 ივნისის №45536 მოხსენებითი ბარათისა და შსს „საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი“-ს თანხმობა N15066-ის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. ,,საქონელი“ - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, **სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის („TOYOTA CAMRY“ სახელმწიფო ნომრით SY-707-SY) სირენისა და ხმამაღლამოლაპარაკის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში მოცემული პირობების შესაბამისად (შემდგომში - „საქონელი“).

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV -31600000; 31620000**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **990.00 (ცხრაას ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)** ლარს (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი და რაოდენობა მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, (მათ შორის დღგ-ს), რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 საქონლის (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟით) მიწოდების ვადად განისაზღვრება - ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან **30 (ოცდაათი)** სამუშაო დღე.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია - მიმწოდებლის სერვისცენტრი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების ტექნიკური მენეჯერი - მიშიკო მჟავანაძე ან/და ამავე განყოფილების თანამშრომელი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).

5.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი, უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

6. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი (არ იქნება ექსპლუატაციაში ნამყოფი) და ხარისხიანი. ამასთან მიმწოდებელის მიერ თანმდევი მომსახურება-მონტაჟი უნდა განხორციელდეს ამ სფეროში არსებული სტანდარტებისა და ნორმების სრული დაცვით.

6.2 მიწოდებულ საქონელზე და თანმდევ მომსახურებაზე-მონტაჟზე საგარანტიო ვადა შეადგენს, საქონლის მიწოდების შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან **12 (თორმეტი)** თვეს.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.5 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო, თუ საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

7.3 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“).

7.4 საქონლის მიწოდება უნდა დადასტურდეს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ან/და ამავე განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში. ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული 2022 წლის საკუთარი შემოსავლებით.

8.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 7.1 7.3. და 7.4. პუნქტებით გათვალისწინებული საბუთების საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8.5. 8.3 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.5 პუნქტში მითითებული პირი.

8.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

8.7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.3 **შემსყიდველი ვალდებულია:**

9.3.1 მიიღოს მოთხოვნილი საქონელი;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

9.5.2 საქონლის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად;

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.3 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.4 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.1.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

11.1.6 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.1.7 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.1.8 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

11.1.9 ხელშეკრულების 12.3 და12.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%.

11.1.10 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.1.11 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.02% პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02% პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული საქონლის შეცვლას, ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02% პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

14. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არცერთ მხარეს უფლება არა აქვს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ასლი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.

15.4 ხელშეკრულებაზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლისა.

16.2 ხელშეკრულების მე-6 მუხლი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N99;
ბანკის კოდი: TRESGE22;
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873.

„მიმწოდებელი“

შპს „ლუმენი“
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N65;
ტელ: 032 2 30 70 43;
სს „თიბისი ბანკი“;
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/ა: GE35TB 78 7393 6080 1000 01;
საიდენტიფიკაციო კოდი: 436032696.

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

შოთა ვასაძე
დირექტორი

National Bureau of Enforcement
Digitally signed by National Bureau of Enforcement
Date: 2022.06.22 16:46:58 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟით)	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟით) დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	საერთო ღირებულება (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟით) დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	საგარანტიო ვადა
1	სირენა LB-B-200W (მონტაჟით)	ცალი	1	495.00	495.00	მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს საქონლის (თანმდევი მომსახურებით მონტაჟით) მიღება-ჩაბარების შესახებ შედგენილი დოკუმენტის გაფორმების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვეს.
2	ხმამაღლამოლაპარაკე speaker LB-A-200W-4O (მონტაჟით)	ცალი	1	495.00	495.00	
სულ ჯამი:					990.00	

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „ლუმენი“

შოთა ვასაძე
დირექტორი

Shota Vasadze 33001018172
Digitally signed by Shota Vasadze
Date: 2022.06.22 17:43:02